ხელშეკრულება N14

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი

09 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახური“ (შემდგომში _ „შემსყიდველი”)** წარმოდგენილი დირექტორის ბონდო მარუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი ზურაბ გოგოლაძე (შემდგომში „მიმწოდებელი”),** ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: შემსყიდველის სახსრებით გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის ჭაბურღილის ამორეცხვის მომსახურების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის ჭაბურღილის ამორეცხვის მომსახურების შესყიდვა.

2.2 CPV კოდი 76530000.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა – **1875 (ათას რვაასამოცდათხუთმეტი)** ლარი, საიდანაც „შემსყიდველი“ უზრუნველყოფს საშემოსავლო გადასახადის გადახდას, რომლის ოდენობაც ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ს შეადგენს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ზერტი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2 **შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი განისაზღვრება ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახურის" დირექტორის ბრძანებით.**

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება შესყიდვის ობიექტის მოწოდების და შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. **ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახურის" დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (საიდანაც ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 ხელმოწერით ვადასტურებ რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახური"	ფ/პ ზურაბ გოგოლაძე
ს/კ 418465315	
	პ/ნ 59001012499
სახელმწიფო ხაზინა კოდი : TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	ბანკი: სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/აGE70 TB 77 0984 5063 6000 04
იურიდიული მისამართი: გორი, გრიგოლ ფერაძის ქ., № 5	მის: გორი, ცხინვალის გზატკეცილი კორ.7ა. ბ. 15.
ფაქტობრივი მისამართი: გორი, ცხინვალის გზატ., მე-5 კმ დირექტორი ბონდო მარუაშვილი	ფ/პ ზურაბ გოგოლაძე

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

მიღება - ჩაბარების აქტი

ა(ა) იპ "გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახური"

გორი

10 ივნისი 2016 წ.

/ერთის მხრივ/ ,,მიმღები" ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახურის" ტექნიკური დირექტორი გიორგი გიგაური, სასმელი წყლის სისტემების მომსახურების სამსახურის უფროსი ზაქარია რაზმაძე, ტექნიკური განყოფილების სპეციალისტი იაკობ ჩიხლაძე და /მეორეს მხრივ/ ,,ჩამბარებელი" ფიზიკური პირი ზურაბ გოგოლაძე, ვაფორმებთ მიღება ჩაბარების აქტს შემდეგზე: მიმღებმა მიიღო, ხოლო ჩამბარებელმა ჩააბარა, კერძოდ:

ფ/პ-მა ზურაბ გოგოლაძემ 2016 წლის 09 ივნისს გაფორმებული #14 ხელშეკრულების საფუძველზე, ამორეცხა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის ჭაბურღილი.

მომსახურების ღირებულებამ შეადგინა **1875 (ათას რვაასამოცდათხუთმეტი) ლარი.**

მიღება ჩაბარების აქტი შედგა თანაბარი ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლიარად, აქედან 2 (ორი) ეგზემპლიარი რჩება მიმღებთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლიარი რჩება ჩამბარებელთან.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„მიმღები"

_____

გიორგი გიგაური

ზაქარია რაზმაძე

იაკობ ჩიხლაძე

„ჩამბარებელი"

ზურაბ გოგოლაძე